ცნობის ფურცელი

№ 2252 ორშაბათი, 1 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2252

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კით. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი"
კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—108)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2-მდე. საღამო-საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1 მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ვერის ხიდისკენ ჩასავლის დასაწყისში, ზემელის აფთიაქთან, ვილნერის სახლში, № 2. ღებულობს კბილის სნეულებით ავადმყოფებს: დილის 9—2 საათ. და ნაშუადღევის 4—7 მდე. (6—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
გ. ჯიჯინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
ა. გ. მალალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.
ექ. გ. ხოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.
საღამოთი:
ა. გ. მალალაშვილი. შინაგ., ბავშ., ვენერიული და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.
სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.
(წლ.) ტელეფონი № 274.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების
გამგეობა
აცხადებს, რომ იმის აგენტს სოსიკო მერკვილაძეს ქუთაისში შაბათს, 23 აგვისტოს,

დაეკარგა

ქ. დრ. საზოგადოების საწევრო საკვიტანციო წიგნაკი № 6, რომელშიაც 24 ბარათია, მხოლოდ პირველი ფურცელი ამოჭრილია და კუპონზე აწერია—მიტროფანე ლაღიძე.

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს, ვინც იპოვნოს, გადასცეს მიტროფანე ლაღიძეს, ან გამოგზავნოს ტფილისში ქარ. დრ. საზოგადოების სახელზე. (3—უ.—3)

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის ამსრულებელმა განკარგულება მოახდინა, რომ **მოქალაქეთა გამგეობის** რწმუნებულთა კრება ყოველ კვირას მოახდინონ ხოლმე.

◆ „კავკაზ"-ს ატყობინებენ, რომ 28 აგვისტოს, საღამოს რვა საათზე, სპარსეთის საზღვრის დარაჯების სადგურების—შაგრიაგის და ბელიასუვარის შუა, ჩასაფრებულ ცხენოსან დარაჯებს თავს დაესხა **ყაჩაღების ბრბო**. ყაჩაღებმა მოჰკლეს ერთი დარაჯი და დასჭრეს ორი; ერთი მათგანი სასიკვდილოთაა დაჭრილი. ყაჩაღები სპარსეთს გაიქცნენ.

იმავე დღეს ღამის 11 საათზე ბელიასუვარსა და შაგრიაგს შუა ყაჩაღებმა წაართვეს მცხოვრებლებს საქონელი. ყაჩაღებს საზღვრის დარაჯებმა მოუსწრეს და დაატოვებინეს წართმეული საქონელი. როტმისტრი დვოეგლაზოვი გაედევნა ყაჩაღებს სპარსეთში საზღვრიდან 15 ვერსტის მანძილზე. მოკლულია ორი ყაჩაღი და ორი ცხენი.

◆ მარგანეცის მრეწველთა საბჭომ, როგორც მკითხველებმა იციან, შუამდგომლობა აღძრა **ჭიათურაში** ექვს-კლასიან **საქალაქო სასწავლებლის** დაარსების შესახებ. სასწავლებელი მრეწველთა ხარჯზე უნდა იქმნას და მასთან სამთო განყოფილებაც უნდა დაარსდეს. როგორც აღმოჩნდა, სამთო განყოფილების დაარსების ნება საერო განათლების სამინისტრომ უნდა დართოს, ხოლო მარტო საქალაქო სასწავლებლის დაარსების ნებართვა სასწავლო ოლქსაც შეუძლია მისცეს. ამიტომ, რათა საქმე არ დაგვიანდეს, მარგანეცის მრეწველთა საბჭოს გადაუწყვეტია, სწერენ „ნოვ. ობოზ."-ს, ჯერ საქალაქო სასწავლებლის დაარსების ნება გამოითხოვონ და მხოლოდ შემდეგისათვის იზრუნონ სამთო განყოფილებაზეო.

◆ ზუგდიდიდან იტყობინებიან, რომ ჩასაფრებულს **ავაზაკს** კვარაცხელიის **მოუკლავს** შინისაკენ გზაზე მიმავალი თავ. ილ. დადიანი და ორი მისი მხლებელი. ავაზაკს შემდეგ გაუძარცვავს მოკლული დადიანი, რომელსაც თან 800 მანათზე მეტი ჰქონია, და გაქცეულა.

◆ ამ დღეებში მუშტაიდის ბაღთან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო სამსახურიდან გადამდგარი მოხელე ნასყიდაშვილი. დამხრჩვალის გვამი ყარაიაზის ქვეით ძლივს იპოვნეს.

◆ 29 აგვისტოს ვარანცოვის ძეგლთან ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდა კონდუქტორი, ზედ ეტლმა გადაუარა და დაშავდა. დაშავებული გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

◆ 24 აგვისტოს ტფილისის სადგურზე გაქანებულ მატარებელ ქვეშ ჩავარდნილა და მომკვდარა ვიღაც ვოლნოოპრედელიაუშჩი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი ევროპიდან მიღებული დეპეშა გვიან მოვიდა ღამით და გაუსწორებლად დაიბეჭდა. ამის გამო ქართველი სტუდენტები-ს მაგიერ შეცდომით დაბეჭდილია ქართული სტუდენტები.

თეატრი

თავად სუმბათაშვილს (იუჟინი) ახალი პიესა უკვე დაუმთავრებია. პიესა მოსკოვის პატარა თეატრის არტისტებისთვის წაუკითხნია და ყველას ძლიერ მოსწონებია. პიესა ხუთ-მოქმედებიანი დრამაა. შინაარსი საქართველოს წარსულიდან არის აღებული. პიესას ამ სეზონში წარმოადგენენ.

კვირას, 7 სექტემბერს, სცენის მოყვარენი ასოთ ამწყობთაგან „ნემეცების კლუბ"-ში გამართავენ რუსულ-ქართულ წარმოდგენას. რუსულად ითამაშებენ „ადვოკატის კეთილშობილ ოჯახში", ხოლო ქართულად გ. ერისთავის ვოდევილს „უჩინ-მაჩინის ქუდს". წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა. დაუკრავს სამხედრო მუზიკა.

წერილი თელავიდან

სახალხო წარმოდგენები და სახალხო თეატრის სექციის ბედი

ზაფხული გავიდა, წარმოდგენები შესწყდა. ზაფხულის მეორე ნახევარში ხშირ-ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, ზოგჯერ ქართულ-რუსულად, ხან საკონცერტო განყოფილებითაც. ორჯელ სეირნობა გაიმართა, ერთხელ მეჯლისიც (ბალი). მთელის ზაფხულის განმავლობაში კლუბში კვირაობით იმართებოდა საცეკვაო საღამო. ერთის სიტყვით, ამ ზაფხულს თელავში მოწყენა არ მოგვწყენებოდათ, თუ, რასაკვირველია, ჯიბეც გაუძლებდა ყველა ხარჯს. უბრალო ხალხსა-კი მოკლებული იყო თეატრს და გასართობს, თუმცა ესენიც ხან-და-ხან თავიანთებურად დროს ატარებდნენ ნუნუას შემწეობით. ჩვენმა ახალგაზრდობამ შარშან მოიწადინა იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა, მაგრამ წადილი ვერ შეასრულა თეატრის უქონლობისა გამო. ამისათვის მგონი შარშანდელი წადაწადი უფრო სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს ხალხისათვის. სწორედ ამისათვის, როგორც მკითხველთაც იციან, სახალხო თეატრის სექცია შეადგინეს, რომელსაც უნდა ემართა უბრალო ხალხისათვის წარმოდგენები, კითხვები და კონცერტები. სექციის დაარსების უმალვე წევრები ჩაეწერნენ და საწევრო ფულიც 60 კაპ. შეიტანეს. სულ შედგა 8 მან. და 30 კაპ. ეს ფული არაფერს მოხმარებია. წესდების მე-13 მუხლის ძალით, თუ ვინიცობაა სექცია მოქმედებას მოსპობს, მაშინ საზოგადო კრება უნდა მოხდეს და გადაწყვიტოს ქონება. რადგან სექცია დიდი ხანია აღარ არსებობს, ამისათვის ერთმა წევრმა, ვისაც ფული ებარა, კრება მოიწვია, მაგრამ არ შესდგა. ზოგიერთ წევრთა თანხმობით, ხაზინადარმა ამ ფულით იყიდა „ისტორიის სარკე" I და II ტომი და დანარჩენი ფული 6 მან. 70 კ. თელავის წიგნთ-საცავს გადასცა იმ პირობით, რომ წიგნები გამოიწეროს.

დიმიტრაშვილი

წერილი ხონიდან

მოსწავლეთა მიღება სემინარიასა და საქალაქო სკოლაში

24 აგვისტოს საღამოთი ხონში არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ხონის ვეებერთელა ბულვარი და ქუჩები სავსე იყო მოსწავლეებით და მასწავლებლებით. როგორც მოსწავლეთ, ისე მასწავლებელთა გული რაღაც არა ჩვეულებრივად ცახცახებდა. ყველას დუმილი და შეწუხება ეტყობოდა, განსაკუთრებით იმათ, ვისაც საოსტატო სემინარიაში უნდოდა შესვლა. ყველას შიში ჰქონდა, ვაი თუ ვერ დავიჭირო ეგზამენი და ამდენი ფული და შრომა ტყუილა უბრალოდ დამეკარგოსო, ჰფიქრობდა მოსწავლე. არა ნაკლებ სწუხდა მასწავლებელი, რომელსაც თავისი შრომისათვის სრულად არ მიეღო ფული და მოსწავლის მიღების შემდეგ მთელის ფულის აღებას. ათ მოსწავლეში ერთს უნდა გაემარჯვა, და აბა წარმოიდგინე, მკითხველო, რა ძვირად დაუჯდება ეს გამარჯვება; დადგა 25 აგვისტო, წამების დღე, რომელმაც გასტანა 27 აგვისტომდე. 120 კაცში დამარცხდა 108 კაცი და საოსტატო სემინარიაში მიღებულ იქმნა 12 კაცი, რომელთა შორის 5 თუ 6 რუსია.

ეგზამენების დროს დასწრე სოფლის მასწავლებლებს, რომელთაც მოსწავლეები მოიყვანეს სემინარიაში მისაღებად, სემინარიის დირექტორმა საინტერესო სიტყვა უთხრა. „როდესაც მოსწავლეებს ჩვენთან სასწავლებელში მისაღები თხოვნები მოჰქონდათ, გამოვკითხე, ვისთან ემზადებოდნენ და რას იხდიდნენ მომზადებისათვის. იმათ მითხრეს, ემზადებოდით სოფლის მასწავლებლებთან და ვიხდით 100—200 და ხშირად 300 მანეთსაც. ამასთანავე შევამჩნიე, ისინი, რომელნიც ასობით და სამასობით იხდიდნენ მომზადებისათვის, ძალიან სუსტად არიან მომზადებულნი. სიტყვას ვერა სწერენ ისე, რომ თითო ან ორ-ორი შეცდომა არ მოუვიდეთ; არ შემიძლია არ ვუსაყვედურო მასწავლებლებს, რომელნიც ორასობით, სამასობით ახდევინებენ ღატაკ სოფლელებს და მომზადებით-კი ძალიან სუსტად ამზადებენ". აი, ასე იქცევიან თურმე ზოგიერთნი მასწავლებელნი.

ხონის საქალაქო სკოლასაც ბლომად მოაწყდნენ მოსწავლენი, განსაკუთრებით უფროს კლასებს. თითო თავისუფალ ვაკანსიას უფროს კლასებში ორი-სამი მოსწავლე ეჯიბრებოდა. დაწვრილებულ გამოცდის შემდეგ იღებდა მოსწავლეებს საქალაქო სკოლის ინსპექტორი ს. დ. გაგუა. მოსწავლეების გამოცდის დროს ძალიან კარგად ეპყრობოდა: ახალისებდა, ამხნევებდა. ამის მიხედვით მოსწავლეებს ყოველივე შიში ეკარგებათ. მოხსენებულთა რიცხვი საქალაქო სკოლაში აღემატებოდა 350 კაცს, მიიღეს-კი 180 კაცი.

ილია ბახტაძე

წერილი ქუთაისიდან

საყურადღებო საქმე

მღვდელს მამა მელიტონ კელენჯერიძეს ფრიად საყურადღებო აზრი დაჰბადებია: მას განუზრახავს ვრცლად გამოსცეს ჩვენის ეკლესიის უწარჩინებულეს მუშაკის გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია. ამისათვის მას დაუბეჭდია და დაურიგებია საზოგადოებისთვის, უმეტესად სასულიერო პირთათვის, მოწოდება, რომ ამ დიდს საქმეში დახმარება აღმოუჩინონ ყოველგვარ ცნობების მოწოდებით, რასაც კი გაბრიელის ცხოვრება-მოღვაწეობასთან კავშირი აქვს. მოწოდების ავტორი აღნიშნავს იმ სამარცხვინო უსამართლობას, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იჩენს მოღვაწეობასადმი: ნაცვლად იმისა, რომ ღირსეულად დავაფასოთ საზოგადო მოღვაწე, ამბობს პატივცემული ავტორი, „სიცოცხლეშა ხელს ვუშლით, მოსვენებას არ ვაძლევთ, კვალს გზაზე ვეღობებით, მტრობასა და შურს არ ვაკლებთ და, როდესაც გაწირებული ცივ-სამარეში ჩავა, სადღაც თუ ვეტყვით ორიოდე ცივ სიტყვას, თორემ, რაკი მიწას მივაბარებთ, სრულიად დავიწყებას ვაძლევთ... სხვათა შორის, ასე მოვექეცით განსვენებულს გაბრიელ ეპისკოპოსსაც... მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს სამღვდელოებაში სასულიერო ფართო ნიადაგზე აღმოცენება ეს ერთი ბრწყინვალე პირი—გაბრიელი— დიდის ჭკუით, სპეტაკის ცხოვრებით, ადამიანის გულით, მნათობი ჩვენის ეკლესიისა. მაგრამ ეს შვენება ერისა, ქება-დიდება მამულისა, ჯერ უდროოდ დავაბერეთ, ათასგვარ მტრობითა და შურით სიცოცხლე შევუმოკლეთ და, შემდეგ სიკვდილისა, თითქმის სრულიად მივივიწყეთ... მართლაც, საკვირველია ეს პირი! იგი სულ მოკლე დროს განიქცა ხალხურ გმირად და ცოტა ხნის შემდეგ, ვგონებ, საარაკოდაც შეიქმნება, როგორც თამარ დედოფალი... ბევრი რამ საგულისხმიერო მაზე დარჩა ხალხის ხსოვნაში; ნამეტურ ბევრს რასმე კარგს მოგვითხრობენ მაზე მისი თანამედროვენი მოხუცნი, მასთან დაახლოვებულნი პირნი. ყველა ამბების გამოქვეყნება, ისტორიაში შეტანა იქმნებოდა, ჩვენის ხალხისთვის ძვირფასი განძი. მაგრამ მოკვდებიან ეს პირნი და დღეს ნამდვილი საისტორიო მასალა, ცოცხალი ფაქტი, ხვალ თუ ზეგ საზღაპრო იქ-

ნებად შეიქმნება და კიდევ კარგი, თუ თამარისა არ იყოს, საფლავი მაინც არ დაგვეკარგა განსვენებულ მღვდელ-მთავრისა, როგორც დღეს თამარის დაგვეკარგა და კვალიც ვერ მიგვიგნია. .

ამიტომ მამა კელენჯერიძე საჭიროდ ნახულობს ეხლავე შევუდგეთ ამ ბრწყინვალე პირის ცხოვრება-მოღვაწეობის წრეულსა და ყოველმხრივ გამოკვლევას. შემდეგ მოწოდების ავტორი თავისს წრეულ პროგრამაში, რომელიც 74 მუხლისგან შესდგება, სთხოვს საზოგადოებას, ყოველს წამოყენებულ კითხვაზე ცალკ-ცალკე უპასუხოს. პროგრამა დაახლოვებით ამგვარია: 1) სურათები განსვენებულის სოფლისა, სახლის, მშობლების, ცოლ-შვილისა და სხ.; 2) ცხოვრების აღწერა: ოჯახში, სკოლაში და სხ.; 3) გაბრიელის სამსახური სხვა და სხვა ადგილას და თანამდებობაზე; 4) გაბრიელი, როგორც მღვდელ-მთავარი, მქადაგებელი, ადმინისტრატორი, პედაგოგი, ქველმოქმედი, საზოგადო პირი და სხ.; 5) გაბრიელის ჯერ დაუბეჭდელი და გამოუქვეყნებელი ნაწერები; 6) გაბრიელის შესანიშნავი მიწერ-მოწერა მთავრობასთან და სხვა და სხვა პირებთან; 7) გაბრიელის ოჯახური ცხოვრება; 8) მისი შეხედულება ამა თუ იმ საგანზე.

დასასრულ მ. კელენჯერიძე შემდეგის სიტყვებით მიჰმართავს საზოგადოებას: „დიდად დავალებული ვიქნებით ყველა პირისაგან, ვინც საგნის შესახებ ან შეცდომას გაგვისწორებს, ან რაიმე კეთილს რჩევას მოგვცემს და მით შეძლების და გვარად გაგვიადვილებს ამ მძიმე საქმეს.

სწორედ ამ უკანასკნელ მოწოდების გამო მინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენო მამა კელენჯერიძეს. როგორც თვითონვე აღიარებს, მისგან დაწყებული საქმე ფრიად მძიმე და საყურადღებოა. ამიტომ ჩემის მხრით საჭიროდ ვნახულობ, ყოველგვარი ცნობა, რაც განსვენებულის ცხოვრება-მოღვაწეობას შეეხება, დაბეჭდილის კონვერტით გაეგზავნოს არა მამა კელენჯერიძეს, რომელიც, ეჭვი არაა, სერიოზულად ეკიდება ამ საქმეს, არამედ ქუთაისის საკრებულო ტაძრის წინამძღვარს დეკ. მ. გ. ცაგარეიშვილს, რომელმაც ეს ცნობები დროებით გაუხსნელად უნდა შეინახოს ერთ ყუთში. შემდეგ, როდესაც მასალები საკმაოდ შეგროვდება, უნდა არჩეულ იქმნეს კომისია, რომელსაც მიენდობა შეკრებილ ცნობების განხილვა. ეს კომისია კი, თავისის მხრით, მისგან მოწონებულ მასალებს გადასცემს შესამუშავებლათ და გამოსაცემად რომელსამე, ჩვენს მწერლობაში ცნობილს პირს, მხოლოდ ისეთს-კი, რომელიც განსვენებულ გაბრიელს დაახლოვებით იცნობდა,—თუნდ მამა კელენჯერიძეს, თუ კი ასეთად სცნობენ. წიგნის გამოსაცემი და ბიოგრაფიის შემდგენელის დასაჯილდოვებლად ფული უნდა ეხლავე შეიკრიბოს წიგნზე ხელის მომწერთა შორის. შემდეგ-კი, რაც წმინდა მოგება დარჩება, უნდა გადაეცეს გაბრიელის სახელზე დაარსებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ძლიერ ღარიბია, რაც გაბრიელის ხსოვნის სწორედ არ ეკადრება.

დონ-ბედიანი

ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ

—

ᲥᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲣᲠᲘ (კახეთი). წავიდეს და აღარ დაგვიბრუნდეს წლევანდელი წელიწადი, ყველა ამ სიტყვებს გაიძახის და გულ-ხელ-დაკრეფილი შესცქერის თავისს წლის ნაოფლ-ნამუშევარს ჭირნახულს, რომელმაც მოლოდინი გაუცრუა და საგონებელში ჩააგდო. რით-და უნდა შეინახოს თავი მთელი წელიწადი, რით უნდა გასცეს პასუხი ხელმწიფეს, მღვდელს, სოფლის ხარჯს, მოხელეებს და სხვას. გაზაფხულზე რამდენიც დრუბელი აირია, იმდენი სეტყვა მოვიდა; ხან ერთი მხარე დასეტყა, ხან მეორე და ამ რიგად მთელი სოფელი მოიარა; ზოგ ადგას რამდენჯერმე ინახულა და სულ გაანადგურა რაც-კი მოჰხვდა. ყანები ისე გააფუჭა, რომ წლის ძნელად თუ მომკა ვინმემ, თორემ დაიქირავეს თიბები და გაათიბვინეს, როგორც ბალახი. დაუდეს თივასავით ურმებზე და მოიტანეს კალოებზე. აქაც პატრონს ტირილსა ჰგვრიდა, რადგან სიცრით ანიავების დროს ნიჩბის პირიდან არაფერი გამოდიოდა. ბევრმა იმისთვის გალეწეთ, რომ ბზეს მაინც გამოვრჩეთო, მითხრა ერთმა ამ სოფლის მემკმა. ზოგს ისე გაუფუჭა სეტყვა-ნიაღვარმა, რომ სათესლე ვერც-კი აიღო. დანარჩენით იმდენი მოუვიდათ, რომ 4—5 თვე ძლივს შეჰყვებათ. ამისათვის ბევრი ეხლავე შეუდგა წლის არსებით პურის მოპოვებას. თორემ სწორედ შუა ზამთარში შემოაკლდებათ და მაშინ სადა უნდა წავიდნენ. ახლა ამას ზედ დაერთობა სახელმწიფო და საერობო ხარჯების გასტუმრება და ადგილი ჯასაგება, როგორ შეეწირებიან წელს ამ სოფლის მცხოვრებნი.

კიდევ კარგი მცხოვრებთ ცოტა იმედი აქვთ სიმინდისა და ვენახებისა, თუმცა არც ეს გაუშვა სეტყვამ უნახავი.

გან-ილი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 აგვისტო

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ჯანი ყოველის მხრით უკეთესობაში მიდის. რადგან ავადმყოფობა ისეთის თვისებისაა, რომ ახლო მომავალში საგრძნობელი ცვლილება შეუძლებელია მოხდეს, ამას იქით ბიულეტენები დრო-გამოშვებით გამოცხადდება.

ᲕᲚᲝᲓᲐᲕᲐ. ხელმწიფე-იმპერატორმა და დედოფალმა კეთილ-ინებეს და პრივისლინსკის რკინის გზათა მოძრავი საავადმყოფო დაათვალიერეს, რომელიც საგანგებო ვაგონში მოთავსებული და მეცნიერულის მხრით საუკეთესოდ მოწყობილია.

ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲐ. მთავრობისა და დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და გალიციიდან მოსულ დეპუტაციების თანდასწრებით კოტლიარევსკის ძეგლი გახსნეს; აუარებელი ხალხი დაესწრო.

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘ. დემიდოვის ლიცეის ასის წლის არსებობის იუბილე 2 საათს დაიწყო. ოლქის მზრუნველმა უმაღლესი გრამოტა წაიკითხა და გამოაცხადა, ლიცეის 500 თუმანი ებოძა, ლიცეიში მოსწავლე სტუდენტებს უკეთესი საჭმელი მიეცესთო. შემდეგ დეპუტაციები მიიღეს და მოლოცვის ადრესები და დეპეშები წაიკითხეს.

ᲕᲚᲝᲓᲐᲕᲐ. დილის მეათე საათს მათი უდიდებულესობანი ურგუსკს მობრძანდნენ და იქიდან ქალიქს ახლო მდგომარე ჯარებისაკენ გაემგზავრნენ. მშვენიერი ამინდია. ხელმწიფე იმპერატორმა ცხენით შემოუარა ჯარს, ხოლო დედოფალმა—ოთხის ცხენით შებმულის ეტლით. შემდეგ მათ უდიდებულესობათა თანდასწრებით უმაღლესი საუზმე იქმნა გამართული 2500 კაცისათვის. საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი ვოგზალზე დაბრუნდნენ და ალექსანდრე მე-II სახელობაზე დაარსებულ ინვალიდთა სადგომის დეპუტაცია და ბავშვები მიიღეს და სამ საათს ბრესტს წაბრძანდნენ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. კირკ-კილისეში 29 ბატალიონი და 6 ბატარეია დგანან.

— ადრიანოპოლიდან კირკ კილისეში მიმავალმა ჯარმა იენიჯეში უწესოება მოახდინა და ეკლესიაც გაძარცვა. ოლქის შიდა ადგილებიდან საშიში ცნობები მოდის. ჯარს სოფლები ერეკლერი და ალმაჯინი აუკლიათ.

— კირკ-კილისეში და სხვაგანაც მთავრობა ყოველს ღონესა ჰხმარობს, რომ დატაცებული ნივთები შეჰკრიბოს და პატრონებს დაუბრუნოს.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. მეფემ გადასწყვიტა, არჩევანების გათავების შემდეგ დაუყოვნებლივ საპარლამენტო მთავრობა შეადგინოს. სკუპშჩინას ადრე მოწვევა მეფის სურვილის თანახმად მოხდა. ნიშში მდგომ ჯარში მოსამსახურე და დატყვევებულ ოფიცერთა საქმე თავის კვალობაზე მიდის სასამართლოში. ყველანი დარწმუნებულია, რომ კარგად დაბოლოვდება. 24 დატუსაღებული ოფიცერი აქ მოიყვანეს. სასამართლოთა ოქმები სამხედრო მინისტრს წარუდგინეს.

ᲡᲝᲤᲘᲐ. შიდა მაკედონიაში არეულობის მომქმედთა რწმუნებულებმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მემორანდუმი წარუდგინეს, სადაც მუქარაა გამოცხადებული: აჯანყებულნი შურის-ძიებას დაუწყებენ ოსმალელებს და ამის ბრალი ორ-პირის პოლიტიკით მოქმედ დიდ სახელმწიფოებს დაეწყდებათ თავსა, თუ ოსმალეთი ბოლგარელების ამოწყვეტას თავს არ დაანებებსო.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ტიანწინში ხოლერა გაჩნდა.

ᲕᲔᲜᲐ. წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა შესაწევრად და გაფუჭებულ გზების აღსადგენად მთავრობამ 15 მილიონი კრონი გადასდო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. კრეისერი „ლატუშ ტრევილი“ ციკლადის კუნძულებისაკენ წავიდა.

— მარსელში 19 კაცი გახდა ავად საეჭვო ავადმყოფობით; ამათგან 13 გარდაიცვალა.

ᲛᲘᲠᲖᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. იმპერატორი ჰუნგრეთს წავიდა.

ᲚᲔᲘᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ. ხელოსანთა კორპორაციების კონგრესმა დაადგინა: ბოლგართა გაჟლეტას ზიზღს ვუცხადებთ და ვსთხოვთ მთავრობას ბოლგარელების საქმეებში ჩაერიოს.

ᲐᲗᲘᲜᲐ. მაკედონიაში მთელი მოსავალი გაფუჭებულია. სიმშილი მოსალოდნელია.

ᲒᲐᲒᲠᲐ. შავსა და აზოვის ზღვაზე მოსიარულე გემებს რუსეთის საზოგადოებისას ბრძანება მიეცათ 40% დაუკლონ გაგრის გამოფენაზე ექსპონატების მისატან ხარჯსაო.

ᲕᲔᲜᲐ. იმპერატორი გალიციას წავიდა ალლუმებზე.

ᲡᲝᲤᲘᲐ. პოლიტიკურ წრეებში აღელვებულნი არიან იმის გამო, რომ სამძღვრებზე ოსმალოს დიდი ჯარი იკრიბება.

ᲚᲕᲝᲕᲘ. იარმუკობის დროს ზაბოლოტოვოში ხმა გაავრცელეს, ერთ ებრაელის სახლში ქალი მოჰკლესო, რომელმაც ხარი გაჰყიდა და ფული მიიღოო. ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელი ცდილობდა ხალხი დაერწმუნებინა, ტყუილია ეს ხმაო, მაგრამ ხალხი მაინც დაეცა ებრაელებს. სამი ამათგანი მძიმედ დაიჭრა. ნახევარ საათს გაიტანა ცემა-ტყეპამ.

ᲡᲝᲤᲘᲐ. თუმცა ოფიციალად გამოაცხადეს აჯანყებულნი დაამშვიდესო, მაგრამ რაზმები მაინც ჩნდებიან და შეტაკებანიც გრძელდება.

პეტერბურგის ბირჟა 28 აგვისტო

ვექსილების კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაზე	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკზე	37,25
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	37,50
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ მყიდ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	4435 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	385½ "
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 "
5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92¾ "
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ძ. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	189½ "

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲛᲐ იქონიონ კარგი და იაფი ნივთები, მაგალითად: აბგები, წიგნების სატარებლები, რვეულები და სხვა მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. ყველა ეს ეთმობათ მსურველთ იაფად.

შემიძლია სასწავლებლის მთავრობის მოთხოვნილებისამებრ მრავლად მივაწოდო სამოსწავლო მასალა ბევრად უფრო იაფად, ვიდრე სხვა ფირმები ჰყიდიან.

ა. ანდრიასოვი

ადრესი: ავჭალისა და რეუტოვის ქუჩების კუთხეზე, სახლი პაპოვისა. (3—146—2).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

სამ. ბ. თოფურიას

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—222)

ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘ

ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲐ ᲨᲘᲜᲐᲮᲕᲐ

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. (5—6.—2)

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ჯანმრთელი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ამა 1893 წ. 1-ლ სექტემბერს.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის ზედამხედველს სვიმონ ხუნდაძეს სოფ. წინამძღვრიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორი მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია 30 შეგირდისათვის სადგომი. ყველა საქმეს ამ სადგომისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი.

ვისაც სურს, მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგომში, იმან უნდა წარმოადგინოს: ერთი წლის შესანახი ფული 84 მანათი პირველს სექტემბერს.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კროვატი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კროვატის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგომიდან გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგომის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станцiя Мцхетъ, смотрителю Цинамзгварiантъ-карской сельско-хозяйственной школы. (3—1)

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓ ᲜᲔᲘᲨᲔᲚᲚᲔᲠᲘ

აუწყებს საზოგადოებას, რომ 1 სექტემბრიდან ერევნის მოედანზე, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სახლში, გაიხსნა

ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘᲡᲐ

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურისა და რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებულ ტყავეულის ნაწარმოების მსყიდველ ამხანაგობისა. (5—147—2)

Дозв. ценз. Тифлисъ 31 Августа, 1908 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)